პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
შაბათი
1 დეკემბერი
№ 275 (17620)
ფასი 2 კაპ.

მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ

სესიის დარბაზიდან

მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში 30 ნოემბერს მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ. სურათზე: კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე.

საკადრ.-საინფორმაციო ტელეფოტო.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის გეგმა იმ შესწორებათა გათვალისწინებით, რომლებიც შემოიტანეს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიებმა, მრეწველობის კომისიებმა, მრეწველობის კომისიებმა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიებმა, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიებმა, სოფლის მეურნეობის კომისიებმა, მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიებმა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიებმა, სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიებმა, ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედათა და ბავშვთა დაცვის საკითხთა კომისიებმა, ახალგაზრდობის საქმეთა კომისიებმა, ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიებმა.

მუხლი 2. დაწესდეს 1980 წლისათვის მატების შემდეგი ტემპი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით:

(მატება პროცენტობით 1979 წელთან შედარებით)

მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი	4,0
მრეწველობის პროდუქცია — სულ	4,5
აქედან:	
წარმოების საშუალებათა წარმოება	4,5
მოხმარების საგნების წარმოება	4,5
სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი	2,7
ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა	5,3
შრომის ნაყოფიერება:	
მრეწველობაში	3,8
მშენებლობაში	3,5
რკინიგზის ტრანსპორტზე	2,9
მოგება საბრეწველო საქმიანობისაგან	9,1
რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე	2,9
ხელფასის ფონდი სახალხო მეურნეობაში	3,7
მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები ერთ სულ მოსახლეზე	4,6
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა	5,1
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა	7,3
ბავშვთა რიცხვი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სკოლამდელთა დაწესებულებებში	4,4
მოსწავლეთა რიცხვი გახანგრძლივებული დღის სკოლებში (ან ჯგუფებში)	6,5
მოსწავლეთა მიღება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში	3,1
აქედან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, რომლებიც ზოგად საშუალო და პროფესიულ მომზადებას იძლევიან	7,3
მოსწავლეთა მიღება საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში	0,9
სტუდენტთა მიღება უმაღლეს სასწავლებლებში	0,3
საავადმყოფო საწოლების რაოდენობა	1,9

აშენდეს 1980 წელს დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე 109,4 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

მუხლი 3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის 1980 წლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის რეალიზაციის პროცესში განახორციელოს ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება, ამაღლდეს წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ყოველმხრივი გამოყენების, პარტიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სამეურნეო მექანიზმის, ეკონომიკის ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების, მთელი შინაგანი რეზერვების ამოქმედების საფუძველზე, და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს დაზუსტებანი საგეგმო დავალებებში.

მუხლი 4. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნაში ჩამოყალიბებული წინადადებები და შენიშვნები, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები, და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1979 წლის 30 ნოემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოხსენება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

2. აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმის შესასრულებლად.

3. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების წინადადებანი და შენიშვნები, აგრეთვე წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე გამოთქვეს დეპუტატებმა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის საკითხზე, და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე განახორციელოს ღონისძიებანი, რათა წარმატებით შესრულდეს მიმდინარე წლისა და მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის საგეგმო დავალებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1979 წლის 30 ნოემბერი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი იმ შესწორებათა გათვალისწინებით, რომლებიც წარმოადგინეს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიებმა, მრეწველობის კომისიებმა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიებმა, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიებმა, სოფლის მეურნეობის კომისიებმა, მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიებმა, სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიებმა, ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედათა და ბავშვთა დაცვის საკითხთა კომისიებმა, ახალგაზრდობის საქმეთა კომისიებმა, ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიებმა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიებმა, ქალთა საქმეთა კომისიებმა, ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიებმა, შემოსავლის ნაწილში 284.768.404 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 284.511.907 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 256.497 ათასი მანეთის გადამეტებით.

მუხლი 2. დაწესდეს სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, საწარმოო ფონდების სამუსაო, ფიქსირებული გადასახდელები, მოგების თავისუფალი ნაშთი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავალი სოციალისტური მეურნეობებისაგან — სულ 259.429.052 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გასავალი სახალხო მეურნეობის დაფინანსებისათვის — ძირითად მრეწველობის, საშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, სამინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 149.394.522 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 4. დაწესდეს სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — ზოგადსაგანმათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლებისათვის, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, ტელევიზიის, რადიომაუწყებლობისა და განათლების და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოებისათვის, საბავშვო ბაღების, სანატორიუმებისა და ჯანმრთელობის დაცვის და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისათვის — სულ 97.224.396 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით — 34.473.212 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 5. დაწესდეს სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი ქვეყნის თავდაცვისათვის 17.124.000 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დაწესდეს სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების შესანახად 2.420.891 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 7. დამტკიცდეს 1980 წლის საკავშირო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 162.812.135 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში — 162.055.638 ათასი მანეთი, გასავალზე შემოსავლის 256.497 ათასი მანეთის გადამეტებით.

მუხლი 8. დაწესდეს მოკავშირე რესპუბლიკების 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტები შემოსავლისა და გასავლის ნაწილში 122.456.269 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით:

(ათასი მანეთი)

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა	67.205.424
უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	20.882.858
ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	5.227.950
უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	5.224.904
ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	8.400.148
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.088.524
აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.958.055
ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.329.541
მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.688.968
ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.568.278
ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.489.912
ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.255.765
სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.886.788
თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	981.973
ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.027.751

მუხლი 9. დამტკიცდეს 1980 წლისათვის საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხები მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) ბრუნვის გადასახადის შემოსავლიდან: რუსეთის სფსრ — 46,7 პროცენტი, უკრაინის სსრ — 50,9 პროცენტი, ბელორუსიის სსრ — 54,3 პროცენტი, უზბეკეთის სსრ — 91,6 პროცენტი, ყაზახეთის სსრ — 100 პროცენტი, საქართველოს სსრ — 57,7 პროცენტი, აზერბაიჯანის სსრ — 44,5 პროცენტი, ლიტვის სსრ — 91,5 პროცენტი, მოლდავეთის სსრ — 58,3 პროცენტი, ლატვიის სსრ — 42,4 პროცენტი, ყირგიზეთის სსრ — 97,4 პროცენტი, ტაჯიკეთის სსრ — 78,3 პროცენტი, სომხეთის სსრ — 48,8 პროცენტი, თურქმენეთის სსრ — 96,9 პროცენტი, ესტონეთის სსრ — 57,9 პროცენტი;

ბ) 1980 წელს გავრცელებული სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის თანხიდან — 50 პროცენტი;

გ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან: უზბეკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ და თურქმენეთის სსრ — 100 პროცენტი.

გამოეყოს 1980 წელს საკავშირო ბიუჯეტიდან ყაზახეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს 586.934 ათასი მანეთი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსების უზრუნველყოფისათვის.

მუხლი 10. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივ კომისიათა დასკვნაში, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები, და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1979 წლის 30 ნოემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 265.812.848 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში 260.217.975 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 5.594.873 ათასი მანეთის გადამეტებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1979 წლის 30 ნოემბერი.

მტკიცე ნაბიჯით

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგები, რომელზეც ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობა საზღვარგარეთის საზოგადოებრიობისა და პრესის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. მასობრივი ინფორმაციის საერთაშორისო ორგანოები აღნიშნავენ, რომ პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევმა საფუძვლიანად გააანალიზა საბჭოთა ეკონომიკის განვითარება ხუთწლედის განვლილ წლებში და აქტუალური პრობლემები, რომლებიც უნდა გადაიჭრას 1980 წელს და შემდგომ წლებში, ხაზს უსვამენ, რომ პლენუმმა მთლიანად და სავსებით მოიწონა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები და დადგინა საფუძვლად დაუდოს იგი მთელ საქმიანობას 1980 წლის საბჭოთა სახალხო-სამეურნეო გეგმის შესასრულებლად, ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში სკკპ XXV ყრილობის დებულებათა განსახორციელებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გამოსვლისას ლ. ი. ბრეჟნევმა მოიყვანა მკაფიო და დამაჯერებელი ფაქტები, რომლებიც მოწმობს საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი საქმიანობის უდიდეს გაქანებას, მის წარმატებებს სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის სხვადასხვა დარგში, წერს ჩეხოსლოვაკიის „რუდე პრავო“. ეს წარმატებები კარგი საფუძველია იმ დიდი და რთული სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც ახლა დგას საბჭოთა ქვეყნის წინაშე, მტკიცედ რომ მიდის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის გზით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი შრომის ნაყოფიერების გადიდების, ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის შემდგომი სრულყოფის დიდ მნიშვნელობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 1980 წელი — მეათე საბჭოთა ხუთწლედის დამამთავრებელი წელი — დამკვრელური მუშაობის წელი გახდება, წერს „ვაშინგტონ პოსტი“ და აღნიშნავს, რომ პლენუმმა მიიღო „სერიოზული და შინაარსიანი დადგენილება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შესახებ“. ამერიკის ასოშიეიტედ პრესის საინფორმაციო სააგენტო ხაზს უსვამს, რომ მიმდინარე ხუთწლედის ოთხი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში აშენდა 420 მილიონზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, 13 პროცენტითა და მეტად გადიდდა რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე. ამავე დროს, წერს ამერიკის მეორე იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, ისე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე გაისმა აგრეთვე ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა მწვავე კრიტიკა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე თავის გამოსვლაში, რომელიც პრაქტიკულად მთლიანად ეკონომიკის პრობლემებს მიეძღვნა, ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა საბჭოთა ხალხის მიერ სახალხო მეურნეობაში მიღწეულ წარმატებებს და ამავე დროს გააკრიტიკა ბევრი სამინისტროს საქმიანობა, რომლებმაც ვერ შეასრულეს დასახული გეგმები, წერს იტალიური „პაეზი სერა“. სრულიად შეუწყნარებელი უწოდა მან ფართო მოხმარების ზოგიერთი საქონლის ნაკლებობას.

განაცხადა რა, რომ სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში თავდაცვის ხარჯები გათვალისწინებულია 17,1 მილიარდი მანეთის ოდენობით, რაც მთელი სამიუჯეტო ხარჯების 6 პროცენტს შეადგენს, ფრანგული „პარიზიენ ლიბერე“ ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირი ერთმანეთს უჭამებს მშვიდობისათვის თანამიმდევრულ ბრძოლას და თავდაცვის განმტკიცებისათვის მუდმივ ზრუნვას და არათუ არ გაუდიდებია თავდაცვის ხარჯები უწინდელ წელთან შედარებით, არამედ რამდენადმე კიდეც შეამცირა იგი. სათაურით „სსრ კავშირი ამცირებს შეიარაღების ხარჯებს“ ინგლისური „მორნინგ სტარი“ აღნიშნავს, რომ თავდაცვის ასიგნებათა შემცირება მოჰყვა საბჭოთა კავშირის ახალ საშვიდობო ინიციატივებს, რომლებიც ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა ბერლინში წარმოთქმულ თავის სიტყვაში და გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვაზე გაცემულ პასუხში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გამოსვლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე, საბჭოთა პარლამენტის სესიის მუშაობის მთელი მიმდინარეობა მკაფიოდ ადასტურებს საბჭოთა ეკონომიკის შთამბეჭდავ მიღწევებს ახლანდელი საბჭოთა ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე, განაცხადა დელში ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს წევრმა სადანან მუკერჯიმ. საბინაო მშენებლობის სწრაფი ზრდა, ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავლის გადიდება თვალნათლივ გვიჩვენებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დაუცხრომელ ზრუნვას საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შესანიშნავი თავისებურებაა მაღალი პრინციპულობა, მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში შეცდომებისა და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა. ამ ლენინურად პრინციპულ კრიტიკაში ჩვენ ვხედავთ სოციალიზმის ძალის დამაჯერებელ დადასტურებას.

(საკდესი, 29 ნოემბერი).

ბროშურად გამოიცა

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმზე ბროშურად გამოიცა. მასში შეტანილია აგრეთვე 1979 წლის 27 ნოემბერს მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება.

ბროშურა მასობრივი ტირაჟით გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საკდესი).

საბჭოთა ხალხის ინტერესებისათვის

ეროვნებათა საბჭოში

29 ნოემბერს ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი.

სომხეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ლ. მ. საკიანმა** აღნიშნა, რომ სომხეთის პროფკავშირული ორგანიზაციების მთავარი საზრუნავია აამაღლონ პასუხისმგებლობა სახელმწიფო გეგმების და დავალებების შესრულებისათვის, შექმნან ყოველ შრომითს კოლექტივში მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინის ვითარება.

რრატორი შეეხო აგრეთვე პრობლემებს, რომლებიც რესპუბლიკის მრეწველობის ზოგიერთი დარგის წინაშე დგას. საჭიროა განხორციელდეს ჩარხმშენებლობის მოდერნიზაცია, რომლის პროდუქციის ნაწილი არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

როგორც სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის მინისტრის მოადგილემ, კამის დიდტვირთიანი ავტომობილების წარმოების გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა დეპუტატმა **ლ. ბ. ვასილიევმა** თქვა, ამ კომპლექსის შექმნამ სახე უცვალა მთელ იმიერკამისპირეთს.

კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო, რათა ავამაღლოთ ამ ავტომობილების ხარისხი და საექსპლოატაციო თვისებები.

ახლა კოლექტივის ძირითადი ამოცანაა დაჩქაროს კამის საავტომობილო კომპლექსის მეორე რიგის მშენებლობა.

ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ხ. ი. იბრაიმოვმა** აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ბევრი დარგი უპირატესი ტემპით ვითარდება. იგი შეეხო პრობლემებს, რომელთა გადაჭრაზე დამოკიდებულია რესპუბლიკაში საწარმოო ძალების განვითარების შემდგომი დაჩქარება. კერძოდ, ორატორმა წინადადება წამოაყენა გაფართოვდეს ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენების პროგრამა.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას ზარალს აყენებს მიწისძვრები. მიღებულია გადაწყვეტილება ყირგიზეთში აიგოს სეისმომედეგი საამშენებლო კონსტრუქციების კომბინატი. დეპუტატმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, მთელი რიგი უწყება-სამინისტროების ხელმძღვანელებს მიმართა წინადადებით განახორციელონ ღონისძიებანი, რათა მაქსიმალურად დაჩქარდეს ამ დიდმნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობა.

რეგიონის საწარმოო ძალების განვითარებაში ციმბირის მეცნიერთა წვლილზე ილაპარაკა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების თავმჯდომარემ დეპუტატმა **გ. ი. მარჩუკმა**. ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში მოგზაურობის დროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმული მითითებებისა და რჩევების საფუძველზე შედგენილია 30-ზე მეტი სხვადასხვა სამეცნიერო პროგრამა.

აკადემიკოსმა თქვა, რომ ციმბირის განყოფილების მეცნიერებმა მოამზადეს ფუნდამენტური მოხსენება 1990 წლამდე პერიოდისათვის ციმბირის საწარმოო ძალების განვითარების ეკონომიკური და სოციალური პრობლემების შესახებ. ამ დოკუმენტში მეცნიერულად არის დასაბუთებული ციმბირის ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარების ტემპი და პროპორციები იმ მიზნით, რომ მაქსიმალურ სახალხო-სამეურნეო ეფექტს მიაღწიონ მთელი ქვეყნის მასშტაბით.

პარტიის აგრარული პოლიტიკის თანამიმდევრულ განხორციელებას, თქვა ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის მარჯვენა ნაპირის რაიონის კოლმეურნეობა „ხუმალაგის“ თავმჯდომარემ დეპუტატმა **ა. დ. ბასაევმა**, სასაკეთო ნაყოფი გამოაქვს. ხუთწლედის წლების მანძილზე ჩრდილოეთ ოსეთში საგრძნობლად გაიზარდა მარცვლეულის, მზესუმზირას, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. აქ ძირითადი კულტურაა სათესლე სიმინდი. მარტო მიმდინარე წელს მეურნეობებმა სახელმწიფოს გათვალისწინებულის გადამეტებით ათიათასობით ტონა ძვირფასი მარცვალი მიჰყიდეს. ჩვენს კოლმეურნეობაში, თქვა თავმჯდომარემ, სიმინდის მოსავლიანობა ჰექტარზე 60 ცენტნერამდე გაგზარდეთ.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ საჭიროა დაჩქარდეს ეფექტიანი ტექნიკის გამოშვება სიმინდის მექანიზებული თესვა-მოყვანისათვის, წყალსაცავების აშენებისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში, რადგან ბევრ მეურნეობას აკლია სარწყავი წყალი.

თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ჩ. ხ. კარიევმა** თქვა, რომ რესპუბლიკამ დაავალებით დაწესებულზე მეტი აწარმოვა დიდძალი გოგრდი, მანქანათმშენებლობის ნაწარმი, აგრეთვე შალისა და აბრეშუმის ქსოვილები, სახალხო მოხმარების სხვა საქონელი. გადაჭარბებით შესრულდა

დეპუტატ ფ. ი. ქართველიშვილის გამოსვლა

(თბილისის კალინინის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ)

ამხანაგო დეპუტატებო! შემოქმედებითი ძალებით აღსავსე ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ამთავრებენ მეათე ხუთწლედის მეოთხე წელს.

მე, როგორც მშენებელს, უწინარეს ყოვლისა მინდა ვთქვა, რომ კომუნიზმისათვის უკვე მუშაობს საქართველოს ლეგენდებით მოსილ მთებში აგებული უნიკალური ენგურჰესი. მწყობრში დგება ახალი ფაბრიკა-ქარხნები, დიდი ქიმიის ახალი სიმძლავრეები, ბევრი საცხოვრებელი სახლი, სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტი.

ყოველივე ეს იმ ყოველდღიური ყურადღების პირდაპირი შედეგია, რომელსაც იჩენენ საბჭოთა საქართველოს, მისი პარტიული ორგანიზაციის მიმართ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო, პირადად ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

საქართველოს მშრომელები დიდად უმადლიან გამოჩენილ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს, ქვეყნად მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს ჩვენს რესპუბლიკაზე მუდმივი, ჭეშმარიტად მამობრივი ზრუნვისათვის. როგორც კომკავშირის აღზრდილი, საქართველოს კომკაფშირელების, ყველა ქალაშვილისა და ჭაბუკის სახელით უღრმეს მადლობას მოვახსენებ ძვირფას ლეონიდ ილიას ძეს ჩვენი შრომის მაღალი შეფასებისთვისაც, რომელიც პარტიამ და მთავრობამ მოგვცეს, როცა ახლახან საქართველოს კომკავშირი ლენინის ორდენით დაჯილდოვეს. ვფიცავთ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა მამა-პაპათა სახელოვანი ტრადიციების ღირსეული განმგრძობი იქნება.

თქვენი ზრუნვის პასუხად ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა შევასრულოთ თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ჩამოყალიბებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნები. საქართველოს პარტიული ორგანიზაციები მკაცრად მოითხოვენ დისციპლინის განუხრელ დაცვას, თანამდებობრივ მოვალეობათა შესრულებისადმი სახელმწიფოებრივ მიდგომას. საქართველოში შეუწყნარებლობის ატმოსფერო შეიქმნა იმათ მიმართ, ვინც ვერ ასრულებს გეგმებს, ვინც უგულებელ ყოფს მიწოდებას მომიჯნავეებს, განსაკუთრებით რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ყველა იმათ მიმართ, ვინც დაახავს რესპუბლიკის პრესტიჟს. ყოველივე ეს კარგ შედეგებს იძლევა. განვლილ ოთხ წელიწადში მეათე ხუთწლედის შესრულების საიმედო წინამძღვრები გვაქვს.

ჩემთვის ყველაზე ახლოა მშენებლობის სფერო, ამ სფეროში აი უკვე ცხრა წელიწადია ვმუშაობ. პირდაპირ გეტყვით — მიყვარს ჩემი პროფესია. უდიდეს კმაყოფილებას მგვრის ის, რომ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში შუდამ სრულდება გეგმით გათვალისწინებული სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების, განსაკუთრებით მნიშვნელოვან მშენებლობათა წლიური გეგმები, მცირდება დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა. მაგრამ რესპუბლიკის კაპიტალურ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებანი ძალების დიდი დაძაბვის ფასად გვიჯდება. წამდაუწუმ იფუშება მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მიწოდება, რაც ჯერ მოცდენას იწვევს, შემდეგ კი იძულებითს იერიშობანას. ეს ანელებს სამშენებლო კონვეიერის მუშაობას, იწვევს აყოიტაყს მშენებლობაზე, უარყოფითს გავლენას ახდენს გეგმაზეც და ხარისხზეც.

სახლთსაშენებელი ტრესტებისა და კომბინატების მუშაობა შეიძლება შევადაროთ ნებისმიერი სამრეწველო საწარმოს კონვეიერს. მაგრამ, თუ ერთ-ერთი მაკომპლექტებელი დეტალის უქონლობა, მაგალითად, ვოლგის საავტომობილო ქარხანაში, საგანგებო შემთხვევაა, რატომ არის, რომ მშენებლობისათვის საჭირო საშენ მასალათა დაგვიანებული მიწოდება ან ლითონის უქონლობა ბევრისათვის ჩვეულებრივი მოვლენა გახდა?

სულ ცოტა ხნის წინათ, მე, როგორც დეპუტატს, მუშებმა მთხოვეს გამერკვია, რატომ იყო, რომ ჩერეპოვეცის მეტალურგიულ ქარხანას ჩვენთვის მესამე კვარტალში განკუთვნილი ხუთი ვაგონი არმატურიდან არც ერთი არ მოუცია. მოვიარე ათობით კაბინეტი, ვიმეორებ ათობით-მეეტი, კერძოდ ვეწვივ სსრ კავშირის სახმომარაგების შესაბამის ქვეგანყოფილებათა ხელმძღვანელობასაც, და, როგორც იქნა, მივაღწიე მხოლოდ ორი ვაგონის მიღებას და ისიც არა მესამე, არამედ მეოთხე კვარტალის ანგარიშში.

ეს მხოლოდ ერთ-ერთი მაგალითია მიწოდების ჩაფუშვისა. არადა, ასეთი ვითარება ბევრი სხვა საშენი მასალის მიწოდების საქმეშიც არის. მაგრამ განსაკუთრებით ცუდად ცემენტს გვაწვდიან.

მე, როგორც სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის წევრს, კომისიის სხდომებზე შეჯიბრების შედეგების განხილისა და გამარჯვებულთა განსაზღვრის დროს გული მტკივა და მწყინს ხოლმე, რომ ხშირად მასალების არარიტმული მიწოდების გამო ბევრი ბრიგადა, რომლებსაც სურთ და შეუძლიათ კიდეც კარგად იმუშაონ, ვერ იმარჯვებს, რაც კვეთრად ამცირებს მშენებლობაში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ეფექტიანობას.

დარგობრივი სამინისტროების სახმომარაგების ორგანოების ხელმძღვანელები არცთუ იშვიათად თვალს არიდებენ შეკვეთების ჩაფუშვის ფაქტებს, მკაცრად არ მოჰკითხავენ ხოლმე იმათ, ვისაც ბრალი მიუძღვის ამაში.

ახლახან გამართულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ლ. ი. ბრეჟნევმა დასვა კაპიტალურ მშენებლობაში საქმის ვითარების გაუმჯობესების საკითხი. კითხულობ ამ სიტყვაში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს და გონებაში ადგენ მოქმედების გეგმას, რას მოჰკიდო ხელი, როგორ განსაზღვრო უკეთ შენი როლი, რა დამატებითი რეზერვები აამოქმედო, და აი, ამასთან დაკავშირებით ასეთი კითხვა მებადება, რატომღა უნდა ვიმუშაოთ პირდაპირ „თვლებიდან“? არ მოიტანეს დროზე მასალები — კაცი უნდა მოცდეს. არადა, კარგ მეურნეს ხომ ყოველთვის აქვს რაღაც მარაგი მაინც, რათა უაჯიოტაყოდ, მშვიდად მუშაობდეს. და, როგორც ვიცი ასეთ მარაგს ადგილზე გვაძლევენ. უფრო მეტიც, ეს მარაგი ხშირად ბევრად აღემატება დადგენილ ნორმებს (ეარეთ წოდებული ზენორმატიული მარაგი). მაგრამ მას, ნეიულებრივ, ვერ ვიყენებთ, რადგან მეტწილ შემთხვევებში იგი გამკვდარებულია: ლითონი, ცემენტი ხმარდება გამოუსადეგარი რკინა-ბეტონის ნაკეთობების, ლითონკონსტრუქციების დამზადებას, ან კიდევ მოაქვთ გამოუსადეგარი მილების, შვეულრების, ჯოჯების გამკვდარებული მარაგი და ა. შ. ადგილზე ყველანი ვხედავთ — ამ საკითხში სერიოზულად უნდა გავერკვეთ.

მშენებლები და მემონტაჟეები ჯერ კიდევ ცუდად მარაგდებიან მცირე მექანიზაციის საშუალებებითაც. ჩვენ განსაკუთრებით გვჭირდება 30-დან 70 მეტრამდე სიმაღლის ანძური საწეველები, ბეტონსარევლები, ყველა სახეობის ვიბრატორები, პარკეტსახეხი მანქანები, სანგრევი ჩაქუჩები. უსაფუძვლო რომ არ იყოს ჩემი მტკიცება, ვიტყვი: 1977-1979 წლებში შეკვეთილი 629 საწევიდან მხოლოდ 188 გამოგვიყვეს, ნაცვლად 3900 სანგრევი ჩაქუჩისა, მხოლოდ 730 მივიღეთ.

მომდინარე წლის იანვარში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „ავალიფიციური კადრების მომზადების შემდგომი გაუმჯობესებისა და მშენებლობაში მათი შენარჩუნების შესახებ“, როგორც ხაზგასმით არის აღნიშნული დადგენილებაში, კაპიტალურ სამუშაოთა გაზრდილი მასშტაბი, მშენებარე ობიექტების მრავალფეროვნება და ტექნიკური სირთულე მოითხოვს კვალიფიციური კადრების მომზადების უფრო მაღალ დონეს და მშენებლობაში მათს შენარჩუნებას.

უწინარეს ყოვლისა საქმე ეხება კადრების მომზადების სრულყოფას პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მეშვეობით. ეს მშენებლობათა კოლექტივების შევსების ყველაზე უტყუარი გზა. 1979-1980 წლებში რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში დასახულია მომზადდეს 11 ათასზე მეტი ახალგაზრდა მშენებელი მუშა.

მაგრამ რესპუბლიკის მშენებლობებისათვის კვალიფიციური კადრების მომზადება ჯერ კიდევ არ შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს. ბევრი სასწავლებელი ამზადებს ძირითადად საერთო-სამშენებლო პროფესიების მუშებს. 1978 წელს, მაგალითად, მოსწავლეთა თითქმის ნახევარმა მებათქაშეს, კალატოზის, მღებავის სპეციალობანი შეიძინა და მხოლოდ 10 პროცენტი გახდა მემანქანე. ეს კი მშენებლობებზე იწვევს კვალიფიციური მექანიზატორების ნაკლებობას, რის გამოც ცდება სამშენებლო ტექნიკა. უადრესად საჭიროა მუშათა სწავლებისა და მომზადების დროს გავითვალისწინოთ, რომ კაზარდა მოთხოვნილება როგორც მექანიზატორებზე, ისე შემდღეებელებზე, მეამწეებსა და მემონტაჟეებზე.

სასწავლებლებში, მოწინავე მუშების დახმარებით, ისეთნაირად უნდა წარემართოთ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა და ახალგაზრდობას ისე შევაყვაროთ მშენებლის პროფესია, რომ საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურის შემდეგ მოსწავლეები მშენებლობაზე ბრუნდებოდნენ. მაგრამ კადრების შენარჩუნებაზე რომ ვლაპარაკობ, აი კიდევ რა მინდა ვთქვა. ყველა ძალიან შეეჩვია იმას, რომ მშენებლები გეგმას ვერ ასრულებენ. იმდენად შეეჩვია რომ გეგმების ჩაშლისათვის არავინ არავის აღარ სთხოვს პასუხს. ჩვენ ვარდნებზე ისე ლაპარაკობენ, თითქოს რიგითი, ჩვეულებრივი საქმე იყოს. მომუშავეებისათვის კი ეს არ გეგონოთ სულერთი იყოს. ერთია როცა მუშაობ მოწინავე კოლექტივში, ვთქვათ, თბილისის საავიაციო ქარხანაში, რომელიც ყოველგვარ შეჯიბრებაში პირველობს, და სხვაა, როცა მუშაობ ნიადაგ ჩამორჩენილ სამშენებლო ორგანიზაციაში, რომელსაც წამდაუწუმ აკრიტიკებენ. მაგრამ მშენებლებიც სხვადასხვანაირად მუშაობენ. საქართველოში ბევრ ადგილას ისეთნი, [illegible] ასრულებენ გეგმებს, სხვები კი წლების [illegible] ... [illegible] ... [illegible] მორჩებიან. და არ დაგიმალავთ, გულწრფელად მიხარია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ლ. ი. ბრეჟნევმა დასვა საკითხი — უფრო მკაცრად მოჰკითხონ თითოეულს მინდობილი საქმისათვის, უფრო მეტიც, შეცვალონ ის ხელმძღვანელები, რომლებიც ძალიან შეეჩვიენენ მუშაობაში სისტემატურ ჩავარდნებს.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი პარტია შორს იყურება! მის მრავალმხრივ საქმიანობაში თავიდათავი საბჭოთა საზოგადოების განვითარების პერსპექტივის მეცნიერული შემუშავებაა, რომელიც სახალხო-სამეურნეო გეგმებში პოულობს კონკრეტულ გამოხატულებას. ამ გეგმების განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლას რომ უდგას სათავეში, პარტია მოუწოდებს საბჭოთა ადამიანებს ნათლად ხედავდნენ როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, ისე თავიანთი დარგის, თავიანთი საწარმოს, თავიანთი მშენებლობის პერსპექტივებს. ვხედავდეთ პერსპექტივას ამ სიტყვის ფართო გაგებით, ნიშნავს გვესმოდეს, რომ მომავალს აშენყო შობს, რომ დღევანდელი პრაქტიკული საქმეებით თანდათანობით ვიახლოებთ ხვალინდელ დღეს. პერსპექტივით მუშაობა ხელმძღვანელობის ლენინური სტილის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ხუთწლედის დამკვრელურ ვაჭაზე დგანან მშენებლები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მაღალი შეფასება მისცა მშენებელთა შრომას, აღნიშნა მათი უდიდესი წვლილი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების ზრდაში, მოგვიწოდა განუხრელად ავამაღლოთ მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი. ლენინის იდეას ძის მითითებისამებრ, ჩვენ, მშენებლები, ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა წარმატებით შევასრულოთ XXV კრილობის გადაწყვეტილებანი, მეათე ხუთწლედის დავალებანი, და ამით კარგ საფუძველს შევუქმნით მომავალს. (ტაში).

დეპუტატ თ. ნ. მენთეშაშვილის გამოსვლა

(თბილისის ოქტომბრის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ)

პატივცემულო ამხანაგო დეპუტატებო! სიმართლის ხმად, პარტიის ხმად, მთელი ხალხის ხმად შეისმინა დღეს ყოველმა ჩვენგანმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 27 ნოემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შესახებ „ლენინის ორდენი მიენიჭა საქართველოს კომკავშირს. ამას წინათ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოდა ქალაქი ჭიათურა. ყოველივე ეს ძლევარ სტიმულს ანიჭებს ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების რიტმს, წარმოდგენ მოპოვებული ნდობის, წარმატების, გამარჯვების ატმოსფეროში იარჯება.

დღეს საბჭოთა საქართველოს, მის დედაქალაქს მჩქეფარე ცხოვრება აქვს. სახალხო მეურნეობის განვითარება მტკიცედ უსწრებს დროს. თბილისის მრეწველობამ ხუთწლედის ოთხი წლის დავალებანი 28 ნოემბერს შეასრულა და დღეიდან უკვე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ანგარიშში მუშაობს. და ამ შრომის რიტმში, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, რესპუბლიკაში პირველებმა გადადგეს მტკიცე ნაბიჯი თბილისელებმა, რომლებმაც გადაწყვიტეს აღედგინათ ძველი სახელი.

რესპუბლიკის მშრომელებმა, თბილისელებმა, თავიანთი ბრძოლის მთავარ მეთოდად აირჩიეს კადრებთან მუშაობა, როცა კომპეტენტურობა, პატიოსნება, მოქალაქეობრივი წესიერება და პრინციპულობა ნამდვილად გახდა ადამიანთა საქმიანობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმები, როცა ხელმძღვანელ პოსტებზე დავაწინაურეთ გამბედავი და ენერგიული ამხანაგები, ისინი, ვისაც უნარი შესწევს დაარწმუნოს მშრომელები თავისი სიტყვისა და საქმის ლოგიკით. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ პლენუმზე, რომელმაც საკადრო პოლიტიკის საკითხები განიხილა, ჩვენ, კომუნისტებმა ახალი მიზნები დავისახეთ ამ დიდმნიშვნელოვანი მიმართულებით.

დღეს თბილისელების წინაშე ძალზე პასუხსაგები ამოცანები დგას. უნდა დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგების განვითარება, უფრო ქმედითი გავლენა მოვახდინოთ ეფექტიანობაზე, კიდევ უფრო მეტად განვამტკიცოთ თვეულს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების „შესახებ“. სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი მიენიჭა საქართველოს კომკავშირს. ამას წინათ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოდა ქალაქი ჭიათურა. ყოველივე ეს ძლევარ სტიმულს ანიჭებს ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების რიტმს, წარმოდგენ მოპოვებული ნდობის, წარმატების, გამარჯვების ატმოსფეროში იარჯება.

ამ მიზნით საქალაქო აღმასკომის საგეგმო კომისიამ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკის ინსტიტუტის საქალაქო რგოლის დახმარებით უკვე გაიფართოვა თავისი საქმიანობა. ახლა იგი ვრცელდება არა მარტო საქალაქო აღმასკომის საქვეუწყებო ობიექტებზე, არამედ ქალაქის მთელ სახალხო მეურნეობაზეც.

ჩვენ სსრ კავშირის სტანდარტთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად უკვე შევიმუშავეთ ხარისხის მართვის საქალაქო ტერიტორიული სისტემა, რომელიც უკვე გვაძლევს პრაქტიკულ უკუგებას. მომზადებულია ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების განლაგების ოპტიმალური სქემები. ხორციელდება ქალაქის გამწვანების გენერალური გეგმა, ინერგება ატმოსფეროსა და ზედაპირული წყლების გაჭუჭყიანებისადმი კონტროლის ავტომატეზებული სისტემა. დაიწყო ქალაქის მეცნიერულად დასაბუთებული სატრანსპორტო სქემის ხორცშესხმა.

იმის გამო, რომ ჩვენი ქალაქისათვის განსაკუთრებული აქტუალობა ენიჭება ამ სატრანსპორტო სქემით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დროულ განხორციელებას. მინდა აღვნიშნო, რომ ერთი საქმეა გკრნდეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში განხილული შესაბამისი ორგანოების მიერ დამტკიცებული სქემა, ხოლო მეორეა — სრული მოცულობით ნერგავდე მას. სქემის დამტკიცების შემდეგ განვლილი სამი წლის მანძილზე ჩვენ მის რეალიზაციას საჭირო სახსრებს ნახევარიც კი ვერ მოვახმარეთ.

ჩვენ გვესმის, რომ ჩვეულებრივი საშუალებებით ძნელია ასეთი პროგრამის გადაწყვეტა. ალბათ, სწორი იქნება, თუ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც გათვალისწინებული აქვთ თავიანთ წარმოებათა განვითარება ქალაქებისა და ინდუსტრიული ცენტრების ტერიტორიაზე, კანონმდებლობის წესით დაუდგინონ და დაავალონ აწარმოონ შესაბამისი ნორმატიული ანარიცხები ქალაქის სატრანსპორტო-საგზაო მეურნეობის განვითარებისათვის.

ბუნებრივია, დასმული საკითხი შესწავლას მოითხოვს და, მაშასადამე, დროც დასჭირდება, მაგრამ არის უფრო კონკრეტული საკითხიც. ჩვენ შესაბამის საკავშირო ორგანოებს ვთხოვეთ თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის 1980 წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის გეგმა დაგვიტოვონ თუნდაც წლევანდელ დონეზე.

მინდა შევეხო ჩვენი ქალაქის ეკონომიკის ტერიტორიული და დარგობრივი მართვის შეხამების კიდევ ერთ დიდმნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც პოზიტიურ გაგლენას ახდენს მთელი ეკონომიკური მექანიზმის ფუნქციონირებაზე. პრაქტიკად დამკვიდრდა ქალაქისა და რესპუბლიკის პარტიული ორგანოების მჭიდრო თანამოქმედება სამინისტროებთან და უწყებებთან.

ჩვენ უაღრესად მოხარული და მადლობელი ვართ, როცა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ნ. კ. ბაიბაკოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ამხ. ა. პ. ალექსანდროვი, საკავშირო სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების ხელმძღვანელები — ამხანაგები ა. კ. ანტონოვი, ვ. ვ. ბოიცოვი, ვ. ა. კაზაკოვი, გ ა. კარავაევი, ლ. ა კოსტანდოვი, ა. ი. კოსტოუსოვი, პ. თ. ლომაკო, ა. კ. მელნიჩენკო, ს. ა. ოიროკვეი, კ. ნ. რუდნევი, ე. კ. პერეგუდნი, ა. ი. შოკინი, პ. ს. პლეშაკოვი, ი. გ. პავლოვსკი, ი. დ. სოსნოვი და სხვები ადგილებზე სწავლობენ საქმის მდგომარეობას და გვეხმარებიან გეგმების შემუშავებაში საწარმო-ორგანიზაციათა დიდი პრობლემების გადასაჭრელად, მონაწილეობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომებში, რომლებშიც ვიღებთ ღონისძიებებს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, და თავის მხრივ, კოლეგიათა გადაწყვეტილებებით განამტკიცებენ რესპუბლიკის პარტიული ორგანოების მიერ დამტკიცებულ დადგენილებებს.

უკუგება და შედეგიანობა, როგორც წესი, დაუყოვნებლივ გამოიღებს ხოლმე ნაყოფს. მაგრამ გვინდოდა მეტი მხარდაჭერა მიგვეღო სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროსაგან.

ცნობილია, რომ ქვეყანას სულ უფრო მეტი მაგისტრალური ელმავალი სჭირდება. სწორედ ამიტომ, თბილისელმა ელმავალმშენებლებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გამონახეს გაისად მათი წარმოების ზრდის რეზერვები. ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრომ მხარი დაუჭირა ქარხნის კოლექტივის ინიციატივას, მაგრამ მატერიალური რესურსებით სრულად არ განუმტკიცებია ეს მხარდაჭერა, საქმე ის არის, რომ გადდებული პროგრამის შესასრულებლად ქარხნის კოლექტივს დამატებით უნდა გამოეყოს 12-15 ელმავლის კორპუსი და დაახლოებით 1.800 ტონა დიდი გაბარიტის ფოლადის სხმული.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია შევეხო კიდევ ერთ საკითხს. უახლოეს წლებში მკვეთრად უნდა გაზარდოს საწარმოო სიმძლავრენი „ელმავალმშენებლის“ გაერთიანებამ, აგრეთვე გადასაჭრელი გვაქვს მთელი რიგი სოციალური პრობლემები. მაგრამ ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს უკვე რამდენიმე წელია სრული მოცულობით არ გამოუყვია სახსრები ბინებისა და ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობისათვის.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ამ ტრიბუნიდან ვთხოვო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ამხ. ა. კ. ანტონოვს, რომ დადებითად გადაჭრას აქ აღძრული პრობლემა.

საბინაო მშენებლობის საკითხს ჩვენ ძველი ქალაქისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საბინაო ფონდის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს მოუწყობელი, ავარიული, ფარფალალა ნაგებობანი. ჯერ კიდევ ბევრი ოჯახი ცხოვრობს ბარაკებსა და სარდაფებში. ამიტომაც არის, რომ ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმების სისტემატური შესრულების მიუხედავად თბილისში ახალი ბინის მიღების რიგში მდგომთა ლოდინის ხანგრძლივობა კი არ მცირდება, არამედ იზრდება.

ასეთ ვითარებაში ის გარემოება, რომ გეგმის პროექტით გათვალისწინებულია რესპუბლიკის დედაქალაქს შეუმცირდეს საბინაო კოოპერატიევების მშენებლობის კაპიტალურ დაბანდებათა ანლანდელი დონე 5 მილიონი მანეთით, კიდევ უფრო მეტად ართულებს მდგომარეობას.

გამოვიქვამთ რწმენას, რომ უდიდესი დახმარებისა და ყურადღების ვითარებაში, რომელსაც სისტემატურად ვგრძნობთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სხვა საკავშირო უწყებების მხრივ, ეს საკითხიც დადებითად გადაწყდება.

ამხანაგო დეპუტატებო! 1980 წელი განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია საბჭოთა საქართველოსათვის იმით, რომ იგი მის 60 წლისთავის წინა წელია. თვალს ავლებს რა გამოვლილ გზას, ქართველ ხალხს კარგად ესმის, რომ სოციალური და ეკონომიკური პროგრესის მწვერვალებისაკენ ჭეშმარიტად უმაგალითო აღმავრენა მან შეძლო მხოლოდ ოქტომბრის მეოხებით, ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიდი რუსი ხალხის, საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ერის ძმური დახმარების მეოხებით.

თავის მხრივ საქართველოს მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ამრავლონ თავიანთი წვლილი საერთო-სახალხო, საერთო-საკავშირო საგანძურში. რესპუბლიკის პარტიული აქტივის ამასწინანდელ კრებაზე, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანებს, სოფლის მეურნეობის თითოეული მშრომელის სახელით გადაწყდა 1985 წლისათვის გადიდდეს ჩაის წარმოება 50 ათასი ტონით, ყურძნის და ციტრუსისა — 1,5-ჯერ, ხილისა — ერთიორად.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ყველა ამოცანას შევასრულებთ. ჩვენი რწმენის საწინდარია მეჩაეთა, მეციტრუსეთა, მევენახეთა ახლანდელი წარმატებანი.

ჩვენი მრავალეროვანი რესპუბლიკის მშრომელთა დღევანდელი მიღწევების ნამდვილი დემონსტრაცია, დათვალიერება გახდა შრომისა და ძმობის დიადი დღესასწაული, რომელიც მომდინარე წლის შემოდგომაზე გაიმართა საქართველოს დედაქალაქში.

თბილისელები გულითადად შეხვდნენ რესპუბლიკის ყველა რაიონისა და ქალაქის მშრომელებს, მოსკოველ, ლენინგრადელ, ერევნელ, ბაქოელ, ქვეყნის სხვა ქალაქების წარმომადგენელ პატიცემულ სტუმრებს. ეს იყო შრომაში გამარჯვებულ ადამიანთა დღესასწაული, ხალხთა მეგობრობის ზეიმი.

ოქტომბრით შობილ დღესასწაულ

სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტის თაობაზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დეპუტატ ნ. ა. ტიხონოვის მოხსენება

ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ყურადღების ცენტრში ახლახან დამთავრებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის შედეგები, ღრმა-ინაარსიანი სიტყვა, რომელიც პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლენინად ილიჩის მითითებებს იმის თაობაზე, რომ საჭიროა ზუსტად და განუხრელად სრულდებოდეს საბჭოთა ხელმწიფოს კანონები, კიდევ ერთხელ განმტკიცდეს სოციალისტური მართლწესრიგი, ამაღლდეს სახალხო კონტროლის ორგანოების პასუხისმგებლობა მთელი სამეურნეო მექანიზმის წარმატებული ფუნქციონირებისათვის, უთუოდ შესრულდეს საგეგმო დავალებანი.

სწორედ ამ ამოცანებს შეესაბამება სსრ კავშირში სახალხო კონტროლის კანონის პროექტი, ხაზასმით აღნიშნა ნ. ა. ტიხონოვმა. იგი შემუშავებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის, სკკპ XXV კრების, და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად. კანონს საფუძვლად დაედო დიდი ლენინის იდეები სახალხო კონტროლის შესახებ. პროექტის მომზადებისას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შრომებსა და ანმისეულებს, საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარებისა და კონტროლის ორგანიზაციის საკითხებზე.

კანონპროექტი ითვალისწინებს საბჭოთა მოქალაქეების მრავალფინდადებას კონტროლის გაძლიერებისა და დისციპლინის გამტკიცების აუცილებლობის შესახებ, რომლებიც გამოითქვა ფონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს, წერილებში, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ ორმ მიიღეს.

სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობა, როგორც ნათქვამია პროექტში, ხორციელდება კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებათა მკაცრი კონტროლის შესაბამისად. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამით განისაზღვრება კანონის მთელი პოლიტიკური შინაარსი. პარტია ყოველთვის ზრუნავს იმისათვის, რომ განუხრელად ხორციელდებოდეს ლენინური იდეები ფართო მასების მხრივ მუდმივი და ეფექტიანი კონტროლის შესახებ.

ახალმა კონსტიტუციამ აამაღლა სახალხო კონტროლის ორგანოების მნიშვნელობა და ავტორიტეტი, სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლი მათს ჩამოყალიბებასა და ხელმძღვანელობაში.

სახალხო კონტროლის ორგანოები შეადგენენ ერთიან სისტემას — დაწყებული ჯგუფებით და საგუშაგოებით და დამთავრებული სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტით, რომელსაც ქმნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო. კანონის პროექტით გათვალისწინებულია, რომ სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტი მუშაობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით. სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და სხვა საქვეუწყებო ორგანოების საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელებისას მთავრობა ეყრდნობა სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტს, წარმართავს მის საკონტროლო მუშაობას სამეურნეო და სოციალურ-კულტურული შენებლობის სფეროსა და სახელმწიფო მმართველობის სხვა სფეროებში.

ანალოგიურად წყდება მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის უმაღლეს ორგანოებთან რესპუბლიკური სახალხო კონტროლის კომიტეტების ურთიერთობის საკითხები.

პროექტის მთელ შინაარსს წითელ ზოლად გასდევს ლენინური იდეა კონტროლში მასების გადამწყვეტი როლის შესახებ. სახალხო კონტროლი ერთმანეთს უხამებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ კონტროლს. სახალხო კონტროლის კომიტეტები თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში ეყრდნობიან მრავალრიცხოვან აქტივს, სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებს, რომლებიც საზოგადოებრივი საწყისებით მუშაობენ. ამჟამად ქვეყანაში მოქმედებს მილიონ 300 ათასზე მეტი ასეთი ჯგუფი და საგუშაგო.

კანონის პროექტი განსაზღვრავს სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობის ძირითად ამოცანებს, აღნიშნა შემდეგ მომხსენებელმა, და პირველ ადგილზე აყენებს პარტიის დირექტივების, საბჭოთა კანონების, მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების, განსაკუთრებით იმ გადაწყვეტილებათა განხორციელების შემოწმებას, რომლებიც სამეურნეო მშენებლობის საკითხებს ეხება. ამ სფეროში, უწინარეს ყოვლისა, უზრუნველყოფილი იყოს თითოეული ჰექტარი მიწის, ყოველი დაბანდებული მანეთის მაქსიმალური უკუგება, ტექნიკის სწორი ექსპლოატაცია, მისდამი მზრუნველი დამოკიდებულება. არანაკლებ მნიშვნელოვანია კონტროლი ყოველივე იმის გამოყენებისადმი, რაც თავდადებული შრომით შეუქმნიათ სოფლის მეურნეობის მუშაკებს. მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხილის დანაკარგების საკითხი მარტო ეკონომიკური კი არა, პოლიტიკური საკითხიც არის.

სახალხო კონტროლის ორგანოების მოვალეობაა აგრეთვე მკაცრად აღვენონ თვალყური ყველა საწარმო-ორგანიზაციის მიერ იმ ღონისძიებათა დროულ შესრულებას, რომლებიც დასახულია ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის საქმეში.

დიდი ღონისძიებანი განხორციელდა ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ, აღნიშნა ნ. ა. ტიხონოვმა, მშრომელები სამართლიანად გვისაყვედურებენ, რომ ნაკლოვანებანია სახალხო მოხმარების ზოგიერთი სახეობის საქონლის ასორტიმენტსა და ხარისხში, ვაჭრობის, ელექტრონული ტექნიკის, ავტომობილების, ტელევიზორების, ფოტოაპარატების, ოქროსეულეულის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ავეჯის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, ავეჯის, ოქროსეულეულის, ტელევიზორების, ავტომობილების, ფოტოაპარატების, ტექნიკის, ვაჭრობის, ხილის, ბოსტნეულის, ხორცის, ... ეფექტიანი კონტროლი ... ეფექტიანი ... ...



(დასასრული)

საბჭოთა ხალხის ინტერესებისათვის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია

კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. კ. ბაიბაკოვმა.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ, თქვა მან, ყოველმხრივ განიხილა 1980 წლის სახელმწიფო გეგმა, რომელიც ერთსულოვნად მოიწონეს. აღინიშნა, რომ მისი რეალიზაცია კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი სამშობლოს ეკონომიკურ ძლიერებას, უზრუნველყოფს საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის კიდევ უფრო ამაღლებას.

სესიაზე გამოსულ დეპუტატთა სიტყვებში აღინიშნა, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სესიის წინ გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას და მასზე ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას, რომელშიც ღრმად არის გაანალიზებული მეათე ხუთწლედის განვლილ წლებში პარტიისა და ხალხის აღმშენებლობითი მუშაობის შედეგები და მკაფიოდ არის განსაზღვრული მთავარი ამოცანები, რომლებზეც აუცილებელია უნდა გავამახვილოთ.

დეპუტატებმა დიდი აუცილებლობა დაუთმეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების; სახალხო მეურნეობაში არსებული რეზერვების გამოვლენის, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებს, გამოსვლების მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას, საქმის გაუმჯობესებას კაპიტალურ მშენებლობაში და ტრანსპორტზე, სახალხო მშენებლობისადმი აუცილებელ ყურადღების გაძლიერებას.

ბევრი დეპუტატის გამოსვლაში და საგეგმო-სახელმწიფო კომისიების თანამოხსენებებში, განსაკრძო ორატორმა, აღინიშნა, რომ საჭიროა გამოვძებნოთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად ასორტიმენტის გაფართოების საშუალებანი.

1980 წლის გეგმით გათვალისწინებული სასურსათო და სამრეწველო საქონლის და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობები არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც უნდა შესრულდეს. ამიტომაც სამინისტროების, უწყებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების უპირველესი მოვალეობაა ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებისა და მისი ხარისხის ამაღლების დასახული გეგმების შესასრულებლად.

გეგმის განხილვის დროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივმა კომისიებმა, ახალგაზრდის საქმეთა კომისიებმა შეიტანეს წინადადება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის 192 მილიონი მანეთით გადიდების შესახებ და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის 140,4 მილიონი მანეთით გადიდების შესახებ. შემოსულია წინადადება ამ თანხით გადიდდეს მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების ხარჯები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით ნ. კ. ბაიბაკოვმა მოახსენა სესიას, რომ ეს წინადადებები განხილული და მიღებულია. შესაბამის დაზუსტებებს შეიტანენ 1980 წლის სახელმწიფო გეგმაში.

სესიაზე, აღნიშნა მან, შემოტანილია წინადადებები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც. მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები გამოითქვა ცალკეული ორგანიზაციების, სამინისტროებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიმართ. სსრ კავშირის მთავრობის დავალებით ორატორმა სესიას მოახსენა, რომ სსრ კავშირის 1980 წლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის თაობაზე ყველა წინადადებასა და შენიშვნას ყურადღებით განიხილავენ და გამოიტანენ შესაბამის გადაწყვეტილებებს.

დასასრულ ნ. კ. ბაიბაკოვმა რწმენა გამოთქვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, ეკონომიკის განვითარების ძირითად საკითხებზე ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებით აღფრთოვანებული ჩვენი ქვეყნის მშრომელები გააჩაღებენ შემოქმედებით მუშაობას წარმოების ზრდისა და მისი ეფექტიანობის გადიდების, რეზერვების გამოვლენისა და გამოყენებისათვის, რათა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ 1980 წლის გეგმა.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ პალატებში ცალ-ცალკე კენჭისყრით ერთხმად მიიღო კანონი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

კანონით დამტკიცდა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის გეგმა პალატების მუდმივ კომისიათა შესწორებების გათვალისწინებით. დადგენილია მატების ტემპი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით.

სესიაზე ერთხმად მიიღეს დადგენილება სსრ კავშირის 1979 წლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საბოლოო სიტყვა დღის წესრიგის მეორე საკითხზე — სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ — წარმოთქვა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა **ვ. გ. გარბუზოვმა.**

პალატების საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივმა კომისიებმა, თქვა მან, ყოველმხრივ განიხილეს სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელსაც მთლიანად დაუჭირეს მხარი დ. მოიწონეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივმა კომისიებმა შემოიტანეს წინადადება, რომ სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი გაიზარდოს 140,4 მილიონი მანეთით, აქედან ბრუნვის გადასახადის მიხედვით — 103,3 მილიონი მანეთით და მოგების გადასახადების მიხედვით — 37,1 მილიონი მანეთით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების კომისიებმა წამოაყენეს წინადადება, რომ გამოვლენილი რესურსები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების შუამდგომლობის გათვალისწინებით, მოახმარონ დამატებითს ღონისძიებებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, განაცხადა ორატორმა, შესაძლებლად მიაჩნია ყველა ამ წინადადების მიღება.

პალატებში (ცალ-ცალკე კენჭისყრით დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს კანონი სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

ქვეყნის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონებით სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაავალა განიხილოს სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის თაობაზე მუდმივი კომისიების დასკვნებში ჩამოყალიბებული წინადადებანი და შენიშვნები, აგრეთვე პალატების სხდომებზე დეპუტატთა მიერ წამოყენებული წინადადებანი და შენიშვნები, და მიიღოს მათ შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა ანგარიში სსრ კავშირის 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

შემდეგ სესიამ დაიწყო დღის წესრიგის მესამე პუნქტის განხილვა.

მოხსენება „სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი“ გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დეპუტატმა **ნ. ა. ტიხონოვმა.**

პალატებში ცალ-ცალკე კენჭისყრით დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ“. მიღებულია აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება „სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე“.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ დღის წესრიგის მეოთხე პუნქტის განხილვას.

მოხსენება „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს, სსრ კავშირის პროკურატურის, სსრ კავშირში სახელმწიფო არბიტრაჟისა და სსრ კავშირში ადვოკატურის შესახებ სსრ კავშირის კანონების პროექტები“ გააკეთა კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარემ **მ. ს. გორბაჩოვმა.**

დეპუტატებმა პალატებში ცალ-ცალკე კენჭისყრით ერთხმად მიიღეს სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შესახებ“, სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ“, სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირში სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ“ და სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირში ადვოკატურის შესახებ“. მიღებულია აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება „სსრ კავშირში სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე“.

ნ. დ. ზვიადაძე

ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ვეტერანი კომკავშირელი მუშაკი, 1952 წლიდან სკკპ წევრი, საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის ყოფილი მდივანი **ნიკოლოზ (გურამ) დავითის ძე ზვიადაძე.**

ნ. ზვიადაძე დაიბადა 1929 წელს, თერჯოლის რაიონის სოფელ სიმონეთში. გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლისას მან თავი გამოიჩინა აქტიური კომკავშირული საქმიანობით და ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი უკვე ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზეა — 1951-1954 წლებში არჩეული იყო საქართველოს ალკკ გორის საქალაქო კომიტეტის მდივნად.

1954-1963 წლებში ნ. ზვიადაძე საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკია, ხოლო შემდეგ ირჩევენ საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილედ იდეოლოგიური მუშაობის დარგში.

1964-1975 წლებში იგი მუშაობდა პარტიის საგარეჯოს რაიკომის მდივნად. სხვადასხვა დროს არჩეული იყო რაიკომის ბიუროს წევრად, საგარეჯოს რაისაბჭოს დეპუტატად.

ნ. ზვიადაძემ კომკავშირული და პარტიული მუშაკის ბნელი და საპატიო გზა განვლო. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოახმარა ახალგაზრდობის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის სამსახურს, პარტიისა და ხალხის საქმეს.

პარტიამ და მთავრობამ სათანადოდ დააფასეს ნ. დ. ზვიადაძის ღვაწლი. მას მიღებული ჰქონდა მედლები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიპატიო სიგელი, სხვა ჯილდოები.

უდროოდ წავიდა ჩვენგან შესანიშნავი ადამიანი, მტკიცე კომუნისტი, საუკეთესო პარტიული მუშაკი და ამხანაგი, რომლის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ყველას გულში, ვინც მის მხარდამხარ მუშაობდა, ვინც იცნობდა და ურთიერთობა ჰქონდა მასთან.

ამხანაგების ჯგუფი.

საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომი და საგარეჯოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 50 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი კომკავშირელი მუშაკი, საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის ყოფილი მდივანი

ნიკოლოზ (გურამ) დავითის ძე ზვიადაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქტორი

გ. გედინეიშვილი.



მასპინძლობს მინსკი

სსრ კავშირის მოჭადრაკე გაქთა 47-ე ჩემპიონატს მინსკი მასპინძლობს. უკვე მოეწყო კენჭისყრა და გამოცხადდა ტურნირის რეგლამენტი. კენჭისყრის შედეგები ასეთია: 1. ეგენი სვეშნიკოვი (ჩელიაბინსკი), 2. გარი კასპაროვი (ბაქო), 3. ნაუმ რაშკოვსკი (კორკანი), 4. ეფიმ გელერი (მოსკოვის ოლქი), 5 ოლეგ რომანიშინი (ლვოვი), 6 სერგი მაკარიჩევი (მოსკოვი), 7 იური რაზუვაევი (მოსკოვი), 8. ვიტალი ციშკოვსკი (ომსკი). 9. კონსტანტინე ლერნერი (ოდესა), 10. რაფაელ ვაგანიანი (ერევანი), 11. იური ანდიჯანი (ნიკოლაევი), 12. ალექსანდრე ბელიავსკი (ლვოვი), 13. ვიქტორ კუპრეიჩიკი (მინსკი), 14. იური ბალაშოვი (მოსკოვი), 15. სერგი დოლმატოვი (მოსკოვი), 16. მიხეილ ტალი (რიგა), 17. თამაზ გიორგაძე (თბილისი), 18. არტურ იუსუპოვი (მოსკოვი).

ტურნირის დღეებია — 30 ნოემბერი, 1, 2, 4, 5, 8, 9, 11, 12, 15, 16, 18, 19, 22, 23, 24, 26 დეკემბერი; გადადებული პარტიების დამთავრების დღეები — 3, 6, 10, 13, 17, 20, 25, 27 დეკემბერი.

სატურნირო ორგიტაზე

შაში. რიგაში გრძელდება ასუჯრიან შაშში საკავშირო ჩემპიონატი. ასპარეზობის დამთავრებამდე ხუთი ტურით ადრე გთამაშობას ლიდერობენ ლენინგრადელი მ. კორნეესკი და მოსკოველი ი. ერმაკოვი. მათ 7,5-7,5 ქულა დააგროვეს.

ფიგურული ციგურაობა. გაზეთ „ნოველ ფე მოსკუს“ პრიზზე მოსკოვში მიმდინარე საერთაშორისო ასპარეზობაში გამოვლინდნენ პირველი გამარჯვებულები. ესენი არიან ირინე ეროროფოვა და იგორ ლისოვსკი. წყვილთა ციგურაობაში მათ ყველას აჯობეს — 107,00 ქულა (ადგილების ჯამი — 8). ი. როდნინამ და ა. ზაიცევმა მხოლოდ მოკლე პროგრამით იასპარეზეს და ცხადია, პრიზებისათვის ბრძოლა არ გაუგრძელებია.

ფეხბურთი. ყოველკვირეულ „ფუტბოლ-ხოკეის“ პრიზზე საკავშირო შეჯიბრება „ჯადასასვლელი“ დამთავრდება დღეს. ფინალში ითამაშებენ მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები. სოხუმში გამართული ნახევარფინალური მატჩები ასე დამთავრდა: — მოსკოვი — ბელორუსია 1:0, ლენინგრადი — ტაჯიკეთი 7:0.

სასამართლოს დარბაზიდან

მკვლელი

კაცი, რომელმაც დედ-მამაზე ალმართა ხელი... კაცი, რომელიც შვილებს განსაკუთრებული სისასტიკით უცქერს თვალწინ მამას, სიკვდილის ღირსია.

ეს დანაშაული ედება ბრალად ცხაკაიას, რაიონის სოფელ მინჯის 29 წლის მცხოვრებს, მუქთაზორასა და ხულიგანს ა. ნ. გაბესკირიას. საერთო ჯამში მას ბრალდება წაუყენეს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შვიდი მუხლის მიხედვით. მათ შორის არის განზრახ მკვლელობა, სხეულის მძიმე დაზიანების მიყენება (დედ-მამას), იარაღის უკანონო ტარება, დაფარვა და ა. შ.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ა. ნ. გაბესკირიას სასჯელის უმაღლესი ღონისძიება — დახვრეტა მიუსაჯა.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უარყო მსჯავრდებულის თხოვნა შეწყალების შესახებ.

განაჩენი სისრულეშია მოყვანილი. (საქინფორმი).

თანამედროვეობის ღრმა ანალიზი

კრაკოვი, 29 ნოემბერი. ჩეხოსლოვაკიის გამომცემლობა „სვობოდამ“ გამოსცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების მეხუთე ტომი. იგი შეიცავს ნაწარმოებებს, რომლებიც 1976-1977 წლებს განეკუთვნება. ამ ნაწარმოებებში გაშუქებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის ხალხთა მიღწევები პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მისი ეკონომიკის, მეცნიერების და კულტურის ნიშნები და თავისებურებანი, აღნიშნულია მშრომელთა კეთილდღეობის გაუხრელი გაუმჯობესება.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ გაზეთმა „რუდე პრავომ“ დღეს გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ეძღვნება კრებულის გამოცემას. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებები, წერს გაზეთი, შეიცავს თანამედროვეობის ძირეული პრობლემების ღრმა ანალიზს. მათში ნაჩვენებია, თუ რა გიგანტურ ღონისძიებებს ხმარობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის. უდიდესია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პირადი წვლილი დაძაბულობის შენელების, საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცების საქმეში.

ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებისათვის, ხაზს უსვამს — „რუდე პრავო“, დამახასიათებელია როგორც რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობის შეფასებაში, ისე სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის შედეგების ანალიზისადმი პრინციპული მიდგომა. ეს გამოსვლები გამსჭვალულია ოპტიმიზმით, მშრომელი ადამიანებისადმი პატივისცემით, რეალური სოციალიზმის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის — მშვიდობისა და პროგრესის გზით.

საერთაშორისო ცხოვრება

ლენინგრადის ჩანაწერები

პროვოკაციული ღონისძიება

ჯაკარტა, 29 ნოემბერი. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ხუღეს მტკიცე პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ჩინეთმა ახალი შეზღუდვები შემოიღო თვითმფრინავების ფრენაზე საერთაშორისო ავიახაზებით, რომლებიც პარასელის კუნძულების რაიონზე გადის. ეს ღონისძიება, აღნიშნულია განცხადებაში, მიზნად ისახავს დააკანონოს ჩინეთის მიერ ვიეტნამის კუნძულების ოკუპაცია, ფეხქვეშ თელავს საერთაშორისო სამართალს, საფრთხეს უქმნის საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლას ამ რაიონში და ჩინეთის ექსპანსიონისტურ გეგმებს ემსახურება.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ვიეტნამის სუვერენიტეტი პარასელისა და სპარატლის კუნძულების მიმართ უდავო და ხელშეუხებელია. ყოველგვარი შეზღუდვა, შემოღებული უცხო სახელმწიფოს მიერ, მისი ყოველი შეთანხმება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სუვერენიტეტს ამ კუნძულების მიმართ, უკანონო და ყოველგვარ ძალას მოკლებულია, ბაზგასმულია განცხადებაში.

ა. კუნიალის გამოსვლა

ლისაბონი, 29 ნოემბერი. აქ, პორტუგალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ა. კუნიალმა უცხოელი კორესპონდენტებისათვის გამართა პრეს-კონფერენცია. თავის გამოსვლაში მან განაცხადა, რომ პორტუგალიის კომპარტია მომავალ 2 დეკემბრის საყოველთაო შუალედურ არჩევნებს მიიჩნევს რეგორც მთავრობის გაძიანურებული და მწვავე კრიზისის დაძლევის კონსტიტუციურ გზად.

ახალდანი არჩევნები, აღნიშნა ა. კუნიალმა, გამოწვეულია იმის გამო, რომ სოციალისტურ პარტიას არ სურს უზრუნველყოს პარლამენტის სტაბილური უმრავლესობა, თუმცა მას ჰქონდა ყველა შესაძლებლობა ამ მიზნის მისაღწევად.

ა. კუნიალმა გააკრიტიკა მემარჯვენეთა პარტიების საარჩევნო ბლოკის — „ახალი უმრავლესობის დემოკრატიული აღიანსის“ პოლიტიკა, რომელიც ამოკანად ისახავს არა მარტო მოსპოს რევოლუციური მონაპოვრები, არამედ დაანადგუროს თვით დემოკრატიული რეჟიმი.

ირან-ამერიკის ურთიერთობის გამო

ნიუ-იორკი, 29 ნოემბერი. ამერიკის პრესაში სულ უფრო ხშირად იბეჭდება მასალები, რომლებიც მოწმობენ ყოფილი ირანის შაჰის დანაშაულობებს, შეერთებული შტატების თანამონაწილეობით რომ ჩადენია.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ირანის ტახტის მჭიდრო და ორივე მხარისათვის ხელსაყრელ ურთიერთობას, წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, დასაბამი მისცა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ 1953 წელს ორგანიზებულმა მოსადიყის კანონიერი მთავრობის დამხობამ და ქვეყნიდან გაქცეული შაჰის ირანში დაბრუნებამ. „ჩემს ტახტს თქვენ უნდა გიმადლოდეთ“, — მოჰყავს გაზეთს შაჰის სიტყვები, რომლითაც მან ამერიკის „შეერთებული შტატებისათვის მიუმართავს. შაჰის რეჟიმისადმი ყოველგვარი ოპოზიციის ჩახშობის მიზნით ამერიკელ სპეციალისტებმა ირანის სახელში შეხვდა დემოკრატიული პარტიის ფრაქციის ხელმძღვანელებს კონგრესში და მათთან ერთად განიხილა ამერიკა-ირანის კონფლიქტი. როგორც ამ შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ სენატორმა ბ. ჯონსონმა განაცხადა, პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ ადმინისტრაცია არ აპირებს გადასცეს ირანელ ხალხს ყოფილი შაჰი. ჯ. კარტერის აზრით, თქვა მან, „შეერთებული შტატების ღირსება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მეკვლების სიცოცხლე“. პრეზიდენტის აზრით, აღნიშნა სენატორმა, მეკვლების განვითარსუფლება კონფლიქტის შეწყვეტას არ ნიშნავს.

როგორც პენტაგონის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, ავიამზიდი „კიტი ჰოკი“ და მისი თანმხლები ხუთი ხომალდი უახლოვდებიან ირანის ნაპირებს, სადაც უკვე არის ამერიკის საბრძოლო ხომალდების ჯგუფი ავიამზიდ „მიდუეის“ მეთაურობით. მათი შეერთების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ესკადრას ამ რაიონში ეყოლება 19 ერთეული. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ ამასთან დაკავშირებით წერს, რომ „უკვე დასახულია სამიზნეები“, რომლებსაც მათ შეიძლება დაარტყან. ამ სამიზნეებს შორის არის „ნავთობსაცავები სპარსეთის ყურის შესასვლელთან, აბადანის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა, აგრეთვე ჰარკის კუნძული, სადაც წარმოების ნავთობის გადასხმა ტანკერებში“. თავის მხრივ გაზეთი „ვაშინგტონ სტარი“ იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებს თავის ჯარის ნაწილების ხელახალ დისლოკაციას, რათა მათ შეეძლოთ საომარი დაზვერვა ირანში მომხდარი გადატრიალებისთანავე შეუდგა ირანის საიდუმლო პოლიციის — სავაკის შექმნას. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, აღნიშნავს გაზეთი, ხელს უწყობდა ტერორის ამ იარაღის „ორგანიზაციას და წარმართვას“ თავისი „ისრაელი მეგობრების“ მეშვეობით. „სავაკი, — წერს „ნიუ-იორკ-ტაიმსი“, — შაჰის რეპრესიების ინსტრუმენტი იყო. ამ საიდუმლო პოლიციის 30 ათასამდე აგენტი თავისუფლად მოაზროვნეებს ეძებდა, სდევნიდა და ბევრს სასტიკად აწამებდა“.

როგორც თვით ამერიკის პრესა აღიარებს, 1953 წლის შემდეგ შაჰმა ირანი ფაქტობრივად ამერიკის კაპიტალის სამკვიდროდ გადააქცია. გაზეთ „ბოსტონ გლობის“ თქმით, შაჰის რეჟიმის დამხობის მომენტისათვის ქვეყანაში მოქმედებდა ამერიკის სულ ცოტა 400 კორპორაცია, რომლებისთვისაც ირანი ნამდვილი „ოქროს ძარღვი“ გახდა. „ყოველი ახალი ამერიკული საწარმო, — აღნიშნავს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, — შაჰს ან მისიანებს გარკვეულ ხარკს უხდიდა. იძულის მიწოდების თაობაზე ბევრი გარიგება მხოლოდ მას შემდეგ იდებოდა, რაც შაჰის ხალხს შესაბამის „საკომისიოს“ ჩაუთვლიდნენ ხელმე. „შეუძლებელია იმის ზუსტი დადგენა, თუ რამდენი თანხა გადამალეს უკანონოდ საზღვარგარეთ შაჰმა და მისმა ოჯახმა“, — წერს გაზეთი. „შაჰმა და მისმა ოჯახმა ძალზე ბევრი მოიპარეს“, — მიაჩნია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ყოფილ მოადგილეს ჯ. ბოლს.

ამასთანავე ამერიკის შეერთებულ შტატებში გრძელდება ხმაურიანი ანტიირანული კამპანია, „ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა ამერიკის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „ვითომ რატომ არ უნდა შევიჭრათ ირანში და არ დავნაიღეთ ისინი, ვინც იქ ხელისუფლებას უდგას სათავეში? ირანი სუსტი ქვეყანაა“.

ვაშინგტონი, 29 ნოემბერი. პენტაგონმა საბრძოლოდ გააფრთხილა ეროვნული გვარდიის ქვეგანაყოფები მთელ ქვეყანაში და განკარგულება გასცა გაძლიერონ სამხედრო ობიექტებისა და იარაღის საწყობების დაცვა იმ შემთხვევისათვის, თუ მათ დემონსტრაციების მონაწილენი დაესხმებიან თავს. ბრძანება მოჰყვა მიჩიგანის შტატში გამართულ დემონსტრაციას.

დემონსტრანტები — ამერიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები გმობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ყოველგვარ შეიარაღებულ აქციას ირანში.

გუშინ ასეთი დემონსტრაცია გაიმართა ამერიკის დედაქალაქში თეთრი სახლის წინ, დემონსტრანტებს ხელთ ეპყრათ ტრანსპარანტები, რომლებზეც ეწერა: „არ დავუშვებთ სამხედრო ინტერვენციას ირანში“, „ნუ გაგზავნით ამერიკის ჯარებს ირანში“. ესენი იყვნენ მონაწილენი ეკრეთ წოდებული მშვიდობის ვახტისა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის მომხრეთა მთელი რიგი ორგანიზაციები აწყობენ.

თეირანი, 29 ნოემბერი. აქ გრძელდება მასობრივი ანტიამერიკული დემონსტრაციები, რომელთა მონაწილენი მოითხოვენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ირანს გადასცეს ყოფილი შაჰი.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულმა ისლამური რევოლუციური საბჭოს წევრმა ს. ყოტბ-ზადემ განაცხადა, რომ მისი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა უცვლელი რჩება.

თეირანი, 28 ნოემბერი. ირანში დამატებითს ღონისძიებებს ახორციელებენ იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები განუწყვეტლივ იმუქრება სამხედრო ჩარევით.

აიათოლა ხომეინიმ განცხადებაში, რომელიც ფარსს საგენტომ გამოაქვეყნა, ხაზი გაუსვა, რომ დამოწმილი მონარქის გასამართლება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ირანში. „შეუძლებელია, თქვა მან, საზღვარგარეთ გავგზავნოთ ირანში აღმოჩენილი დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ შაჰის დანაშაულობებს, ისევე როგორც შეუძლებელია საზღვარგარეთ გავგზავნოთ იმ მასობრივი მკვლელობის ასიათასობით მოწმე, რომელიც ყოფილმა რეჟიმმა ჩაიდინა.

ფრანგულ გაზეთ „მონდისათვის“ მიცემულ ინტერვიუში აიათოლა ხომეინიმ განაცხადა: ჩვენ არასოდეს არ შეურაცხგვყვია და არ დაგვიმცირებია ამერიკელი ხალხი, რომელსაც დიდ პატივს ვცემთ. ახლანდელი კრიზისი ირან-ამერიკის ურთიერთობაში პროვოკაციულად გამოიწვიეს იმათ, ვინც თავშესაფარი მისცა ბოროტმოქმედს — ყოფილ შაჰს. „ვაშინგტონმა თეირანში გაგზავნა საელჩო, არამედ ჯაშუშობისა და ძირგამოთხრელი საქმიანობის ბაზა.

ამერიკელმა კონგრესმენმა ჯ. ჰენსენმა, რომელიც აქ კერძო საქმეებზე ჩამოვიდა, ჯ. კარტერის ადმინისტრაციას ბრალად დასდო, რომ „ნება მისცა შაჰს ჩასულიყო შეერთებულ შტატებში ირანის გაფრთხილების მიუხედავად“. ჰენსენის სიტყვით, კისინჯერი და როკფელერი, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობაზე, რათა მიეღოთ ქვეყანაში შაჰის ჩასვლის ნებართვა, „უნდა ჩამოვიდნენ თეირანში და დაიკავონ 49 ამერიკელი მძევლის ადგილი“.

აიათოლა ხომეინის მიმართვის შესაბამისად ირანის ახალგაზრდობა ემზადება უცხოთის შესაძლო ინტერვენციის მოგერიებისათვის. ადგილობრივი ტელევიზიით მიმდინარეობს მეცადინეობა, რომლის მიზანია ასწავლოს მოსახლეობას სასროული იარაღის ხმარება.

პრესაში გამოქვეყნებულ მაცნობებთან დაკავშირებით, რომ აპირებენ ამერიკელი მძევლების განთავისუფლებას შეიარაღებული გზით, სტუდენტებმა, რომელთა ხელშია ამერიკის შეერთებული შტატების თეირანის საელჩოს შენობა, განაცხადეს, რომ იგი დანაღმულია.

ვაშინგტონი, 28 ნოემბერი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კარტერი თეთრ სახლში ეწვია დემოკრატიული პარტიის ფრაქციის ხელმძღვანელებს კონგრესში და მათთან ერთად განიხილა ამერიკა-ირანის კონფლიქტი. როგორც ამ შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ სენატორმა ბ. ჯონსონმა განაცხადა, პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ ადმინისტრაცია არ აპირებს გადასცეს ირანელ ხალხს ყოფილი შაჰი. ჯ. კარტერის აზრით, თქვა მან, „შეერთებული შტატების ღირსება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მეკვლების სიცოცხლე“. პრეზიდენტის აზრით, აღნიშნა სენატორმა, მეკვლების განვითარსუფლება კონფლიქტის შეწყვეტას არ ნიშნავს.

COMMUNISTS INDEX 66434 — ინდ. 02470 — საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. ბეჭდავს ოფსეტური წესით საჯაზეთო კორპუსში, სოფარაულის 29.